საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030169345587617

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/3064 **18 / იანვარი / 2017 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრმა 2016 წლის ბოლოს ვერ განახორციელა ზოგიერთი მიმწოდებლისათვის თანხის გადარიცხვა, იმის გამო, რომ საქონლისა და მომსახურების მოწოდება განხორციელდა 31 დეკემბრის ჩათვლით. წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანების (საფოსტო მომსახურების, კავშირგაბმულობის, კომუნალური, ტრანსპორტის მოვლა შენახვისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები, მოსაკრებელი) დაფარვის მიზნით, საჭიროა „სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამისა“ (პროგრამული კოდი - 35 01 06) და „სასწრაფო გადაუდებელი დახმარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი - 35 03 03 07 02) „ვალდებულებების კლების“ მუხლის ასიგნების ზრდა ამავე პროგრამების „საქონელი და მომსახურებისა“ და „სხვა ხარჯების“ მუხლების ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართი N1-ის შესაბამისად.

ასევე, დანართების სახით წარმოგიდგენთ ვალდებულებების რეესტრს (დანართი N2) და ინფორმაციას სახაზინო ვალდებულებების შესრულების შესახებ (დანართი N3).

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია